სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

16 **იანვარი, 2026 წელი**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 01-02/12

ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **„ფილოლოგიის“ სადოქტორო** საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ **თამთა ნაგერვაძის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის** თარიღის დანიშვნისა და **დარგობრივი სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 27 დეკემბრის №06-01/129 დადგენილების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 13 თებერვლის №06-01/16 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულების“, **თამთა ნაგერვაძის** დოქტორანტურაში ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 13 ოქტომბრის №01-08/513 ბრძანების, „ბსუ-ს ზოგიერთი დოქტორანტისთვის სწავლის ვადის გაგრძელების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 28 თებერვლის №06-01/24 დადგენილების, „ბსუ-ს ზოგიერთი დოქტორანტისთვის სწავლის ვადის გაგრძელების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 13 თებერვლის №06-01/13 დადგენილების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების (ოქმი №22-20/1, 12.01.2026) და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სამსახურებრივი ბარათის (MES 0 26 0000023598, 15/01/2026) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **„ფილოლოგიის“** სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ **თამთა ნაგერვაძის** სადისერტაციო ნაშრომის „ვეფხისტყაოსნის“ ქართული და ინგლისური ვერსიების მხატვრული თარგმანის კორპუსლინგვისტიკური ანალიზი“ **საჯარო დაცვა** დაინიშნოს **2026 წლის 27 იანვარს,** 13:00 საათზე, 37-ე აუდიტორიაში (ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35, კორპუსი №1, მე-2 სართული).
2. დამტკიცდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი **„ფილოლოგიის“** დარგობრივი **სადისერტაციო კომისია** შემდეგი შემადგენლობით:
   2.1. მამია ფაღავა – ბსუ-ს პროფესორი **(კომისიის თავმჯდომარე);**
   2.2. მაია კიკვაძე – ბსუ-ს პროფესორი **(კომისიის მდივანი);**
   2.3. თეონა ბერიძე – ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
   2.4. მარინე სიორიძე – ბსუ-ს პროფესორი;
   2.5. ნანა ტრაპაიძე – ბსუ-ს პროფესორი;
   2.6. ნანა ცეცხლაძე – ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
   2.7. მზია ხახუტაიშვილი – ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
   2.8. ნანა ქაჯაია – ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;

2.9. ივდით დიასამიძე – ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
2.10.ზურაბ ბეჟანოვი – ბათუმის საზღვაო აკადემიის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ფილოლოგიის დოქტორი;
2.11. თამილა მიქელაძე – ბათუმის საზღვაო აკადემიის ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი.

3. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის ოფისმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დოქტორანტისათვის გაგზავნა და მის პირად საქმეში განთავსება.
4. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანმა უზრუნველყოს დოქტორანტისა და შესაბამისი სადისერტაციო კომისიის წევრების ინფორმირება, საჯარო დაცვის თარიღისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.
5. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით (გ. ქათამაძეს), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს (პროფესორ მ. ფაღავას) და საბჭოს მდივანს (პროფესორ მ. კიკვაძეს), საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. № 30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არაშიძე**